ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 11169/01
14/11/2019

11169-01-2-201911140852

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“

მის: ქ. თბილისი ბარათაშვილის N2

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 25 ივლისის N3413/01 და N3414/01 წერილები, რომლებიც ეხება „წყალტუბო-ახალციხის“ (500 კვ.) და „ახალციხე-თორთუმის“ (400 კვ.) საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებს.

„ახალციხე-თორთუმის“ (400 კვ.) საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის პროექტზე 2019 წლის 15 იანვარს მინისტრის №2-37 ბრძანების საფუძველზე გაიცა სკოპინგის დასკვნა №57 (21.12.2018), ხოლო „წყალტუბო-ახალციხის“ (500 კვ.) საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის პროექტზე 2019 წლის 15 იანვარს მინისტრის №2-38 ბრძანების საფუძველზე გაიცა სკოპინგის დასკვნა №58 (21.12.2018).

აღნიშნულ პროექტებზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშები არ მოიცავენ №57 და №58 სკოპინგის დასკვნებით გათვალისწინებულ გარკვეულ საკითხებს, კერძოდ:

- წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშებში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო მონაკვეთებზე მეწყერების დეტალური კვლევის მონაცემები, შესაბამისი დეტალური შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებების აღწერით;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი საპროექტო სამუშაოები მასშტაბური ხასიათისაა, ხოლო გეოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება და მათი შემარბილებელი ღონისძიებები ორივე ზემოაღნიშნულ პროექტზე ატარებს ზოგად ხასიათს. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არ არის შესწავლილი და წარმოდგენილი თანამედროვე გეოდინამიკური პროცესების/მოვლენების სრული კვლევა და ცალკეული სენსიტიური უბნების დაცვის/სტაბილიზაციისათვის საჭირო დეტალური შემარბილებელი ღონისძიებები;
- გზშ-ის ანგარიშებში წარმოდგენილი არ არის საინჟინრო-გეოლოგიური პირობებისათვის განკუთვნილი რუკები (გრაფიკული მასალა), რაც არ იძლევა

საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასების/აღქმის საშუალებას.

- გზშ-ის ანგარიშებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია რა მანძილით და სიმაღლით არის დაშორებული მდინარეებიდან ყველაზე ახლოს მდგომი ანძები, როგორია ზემოქმედების არეალში მოქცეული მდინარეების მაქსიმალური ხარჯები, დონეები, დაზუსტებას საჭიროებს ასევე ინფორმაცია ნაპირსამაგრი სამუშაოების შესახებ.
- გზშ-ის ანგარიშებში დაზუსტებას საჭიროებს მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების შემცირების დეტალური ღონისძიებები (არსებობის შემთხვევაში);
- გზშ-ის ანგარიშებში აღნიშნულია, რომ იმ ადგილებში, სადაც საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მარშრუტი კვეთს მდინარეებს, გადაკვეთის ადგილებზე სამუშაოები უნდა განხორციელდეს ყველა მოთხოვნების დაცვით. თუმცა არ არის დაკონკრეტებული და დაზუსტებას საჭიროებს რა სახის მოთხოვნათა დაცვა მოხდება მდინარის გადაკვეთის ადგილებზე;
- გზშ-ის ანგარიშებში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ჭრას დაქვემდებარებული ხე-მცენარეების (მათ შორის 8 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის მქონე „წითელი ნუსხის“ მცენარეების) შესახებ ინფორმაცია (სახეობების და რაოდენობების მითითებით), ასევე მოცემული უნდა იყოს ჭრას დაქვემდებარებული სახეობების დათვალიერება საპროექტო ტერიტორიაზე ფრინველთა ბუდეების არსებობის დადგენის მიზნით.
- სკოპინგის დასკვნების გათვალისწინებით გზშ-ის ანგარიშების მონიტორინგის გეგმაში ასახული უნდა ყოფილიყო ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე ზემოქმედებაზე დაკვირვების საკითხები. გზშ ანგარიშებში აღნიშნული საკითხები არ არის გათვალისწინებული;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში განხილული უნდა იყოს ფრინველებისთვის მგრძნობიარე ადგილებზე (საემიგრაციო გზების სიახლოვეს) „Firefly bird flapper”-ისა და “Bird flight Diverter”-ის ტიპის მარკირებების შესახებ ინფორმაცია.
- მონიტორინგის გეგმაში ელ. ხაზების გაყვანისა და ექსპლუატაციის ეტაპებისთვის არ არის განსაზღვრული ფაუნის სენსიტიურ სახეობებზე (დათვი, წავი) დაკვირვების საკითხები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

გამომდინარე იქიდან, რომ გზშ-ის ანგარიშებში წარმოდენილი ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგის პროგრამა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა - პოტენციური ზემოქმედების თავიდან აცილების ან შერბილების ღონისძიებები ზოგად ხასიათს ატარებს, სამინისტროში წარმოდგენილ დაზუსტებულ ინფორმაციას თან უნდა ერთვოდეს ეგხ-ს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი დეტალური შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისა ან შერბილებისათვის გასათვალისწინებელ დეტალურ ღონისძიებებთან ერთად. წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე ეგხ-ების გაყვანის ეტაპზე განსახორციელებელი დეტალური გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა;

გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა გზშ-ის ანგარიშებში თითოეული პროექტის ფარგლებში უახლოესი დასახლებული პუნქტების გათვალისწინებით განხილული და შეფასებული უნდა იყოს ელექტრომაგნიტური გამოსხივების და ხმაურის შედეგად შესაძლო ზემოქმედების საკითხები და წარმოდგენილი უნდა იქნას კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე სამინისტრო აღნიშნულ პროექტებზე: „წყალტუბო-ახალციხის“ (500 კვ.) და „ახალციხე-თორთუმის“ (400 კვ.) საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანაზე წყვეტს ადმინისტრაციულ წარმოებებს. გთხოვთ, უზრუნველყოთ განახლებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების და თანდართული დოკუმენტაციის წარმოდგენა სამინისტროში, რის შემდგომაც, სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაიწყებს ადმინისტრაციულ წარმოებას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე